საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020139507413821

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/619 **12 / თებერვალი / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფანშეთის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის ნახშირმჟავა მინერალური წყლის, 409 895 $მ^3$/ წელიწადში (ჩამოსხმის მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადებას.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი (ორი ჭაბურღილი) მდებარეობს ზღვის დონიდან 1734-1740 მ სიმაღლეზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფანშეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე თერგის მარცხენა ჭალის ტერასაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები. ასევე, არ ფიქსირდება მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან და სხვა ობიექტებთან.

ჭაბურღილების განთავსების უბნებზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ შეინიშნება. საბადოს ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

ამ მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებასა და ხმაურს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: 5 გვ. shape ფაილი.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე